გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



პეტრე სოფრონის ძე შატილოვი და ანჩისხატის ტაძრის დეკანოზი აბრაამ დიმიტრის ძე უთნელიშვილი ცოლითა და შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა დ ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველი მეუღლისა და მეორე ასულისა თვისისა სოფიოსას, და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზედ შაბათს, 5 ოქტომბერს, დილის 9 1/2 საათზე, ანჩისხატის ტაძარში. (2—123—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ ამ გამგეობის კანცელარიაში ხელის მოწერაა გამართული და იღებენ შეწირულებას განსაახლებლად ძველის ტაძრისა გორის მაზრის სოფელს მეტეხში. შეწირულებას იღებენ ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 10 საათიდგან ნაშუდღევის 2 საათამდე. (5—4)


## ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტს

თორმეტი წელიწადია, რაც ტფილისში არსებობს ქართული მუდმივი დრამატიული დასი. ბევრი შავი და ბედნიერი დღე უნახავს ამ ხანში დასს, მაგრამ ასე უხერხულად, უშნოდ და უფერულად ჩვენს დასს სეზონი არას დროს არ დაუწყვია. გავლილს სექტემბერს დასმა წარმოადგინა ოთხი პიესა: ბორკილი, მეორედ გაყმაწვილება, მტარვალი და ალიაქოთი კეთილშობილთს ოჯახში და არც ერთხელ იმდენი ხალხი არ დასწრებია წარმოდგენას, რომ ხარჯი დაეფარა.

რა არის მიზეზი ასეთის სამწუხარო გარემოებისა? რას ფიქრობდა კომიტეტი დრამატიულის საზოგადოებისა, როცა ცარიელ სკამების წინ გულ-დაწყვეტილი აქტიორები უგულოდ ამბობდნენ თავიანთს სათქმელებს? ჰხედავდნენ-კი ამ სამწუხარო სურათს კომიტეტის წევრნი? არა გვგონია, რადგან ოთხსავე წარმოდგენას დავესწარით და არც ერთი მათგანი იქ არ შეგვიმჩნევია... ასეთი გულგრილობა, ჩვენის აზრით, ყოვლად მიუტევებელი საქმეა.

კომიტეტმა თავს იდვა და იკისრა წელს ხელმძღვანელობა გაეწია დასისათვის. მაშასადამე მოვალე იყო გადაესინჯა სათეატრო რეპერტუარი, შეევსო ახალის პიესებით, შეემუშავებინა ენა პიესებისა, შეეფერებინა ნათარგმნი პიესები ჩვენის ცხოვრებისთვის. ყოველ ამის მაგიერად ქართველ საზოგადოებას უძღვნეს შალაშინ გაუკვრელი რუსული პიესები და მეტის-მეტად უხეირო ქართული პიესა. ენა ხომ ისეთი ულაზათოა, რომ მომეტებული დამახინჯება ქართულისა ყოვლად შეუძლებელი-ღაა. თორმეტის წლის გამოცდილებას უნდა დაერწმუნებინა კომიტეტი, რომ ნათარგმნი პიესები ჩვენში გასავალს ვერ პოულობს, ხალხს ვერ იზიდავს. მართლაც დიდად ეხამუშება ქართველის ყურს, აი თუ გინდათ, ამისთანა ფრაზა: ბატონო ხვოროსტნევ („ბორკილი“). მარტო „სამშობლო“ გახდა სანუკარი ქართველის საზოგადოებისთვის და ისიც იმიტომ, რომ, თუმცა აზრი და ხელოვანება ამ დრამისა უცხო მწერალს ეკუთვნის, მაგრამ შინაარსი პიესისა წარმოადგენს სრულს სურათს ქართულის მწარე წარსულისას. ენაც პიესისა სუფთაა და ლიტერატურული. ამისათვის გვიკვირს და ვერ გაგვიგია, რატომ არ მოისურვა კომიტეტმა ახალგაზდა დრამატურგის ბ-ნ ბენაშვილის პიესების წარმოდგენა. იქნება ამ პიესებს ცოტა ნაკლულევანება არა ჰქონდეს, მაგრამ მათი შინაარსი სრულიად შეეხება ჩვენს ცხოვრებას. ამ პიესებში მოქმედნი გმირნი თითქო ჩვენი კარგი ნაცნობნი არიანო და მათი ხილვა სცენაზედ ქართველს საზოგადოებას სიამოვნების მეტს არას მოჰგვრის.

მეორე დიდი დაუდევრობა და დანაშაული კომიტეტისა ის არის, რომ დასი არა ჰყავს, ოთხ-ხუთ გამოცდილ არტისტებთან სცენაზე გამოჰყავს უნიჭო გოგო-ბიჭები. მათი მხილველი საზოგადოება შველივით დაფთხა და ცხრა მთას იქით გადაიკარგა. იმიტომაცაა, რომ ეხლანდელ ქართულ წარმოდგენაზე ცივი ქარი თავისუფლად დასრიალებს პარტერში და დაბრკოლებას ვერსად ჰპოულობს. მხოლოდ ერთგული გალერეია არა ჰღალატობს ქართველს მელპომენას და იმიტომაც ამ ერთგულების გამო თავი ბრიყვად და უზრდელადაც უჭირავს. ნიჭიერი არტისტები ბლომად ჰყავს ქართულ სცანას. სად არიან ალექსიევ-მესხიშვილი, კ. ყიფიანი, კ. მესხი, აწყურელი, გამყრელიძე, ნ. გაბუნია, ქ. ანდრონიკოვისა და სხვანი? თუ რაიმე მიზეზის გამო მათი მოწვევა ძნელი გახდა, კამიტეტი მოვალე იყო, ახლები გამოეძებნა. სადაც ეგენი გაჩნდნენ, იქ, უეჭველია, სხვებიც გამოჩნდებიან, მხოლოდ მათ ძებნა უნდა და შემდეგ ცოტაოდენი შრომის მიღება მათ გასაწვრთნელად.

ერთ დროს იმართებოდა აგრეთვე ქართული ოპერეტები სიმღერებით. ხალხი სიამოვნებით დაიარებოდა ამ გვარ წარმოდგენებზე და თავის თანაგრძნობით ახალისებდა არტისტებს. ეხლა ესეც თითქო სამუდამოდ განქრაო.

თუ ჩვენგან ზემოდ დასახელებული ორი უმთავრესი ნაკლი არ მოისპო, ოპერეტები ისევ არ აღადგინეს, თუ კომიტეტმა მეტი სიცოცხლე და მუყაითობა არ გამოიჩინა, სჯობს, თუმცა-კი დიდად სამწუხარო და გულდასაწყვეტი იქნება, სრულიად მოსპოს, დროებით მაინც, ქართული წარმოდგენები და ჩააქროს მბჟუტავი ცეცხლი, თორემ, ასე თუ იღონდილა ქმრთულის თეატრის საქმემ, ხალხს სრულიად შესძულდება თეატრი და მერე დიდი შრომა და ნივთიერი ძალა დასჭირდება, რომ ისევ ფეხზედ დააყენოს.

ჩვენი წრფელი და გულითადი სურვილი-კი ის არის, რომ ღმერთმა არ შეგვასწროს იმ დღეს, რომ ქართულის თეატრის კარები დახშული და დაკეტილი დაგვხვედრიყოს.

ა—ლი

## ახალი ამბავი

** სახელმწიფო საბჭოს წევრი ალექსანდრე პავლეს ძე ბარონი ნიკოლაი სოფ. ბეთანიიდგან ტფილისში ჩამობრძანდა.

** გუშინ რუსეთიდგან ტფილისში ჩამოვიდა დიდძალი მოუსავლობით დაზარალებული გლეხობა თავიანთის ოჯახობით.

** ამ თთვის პირველს კავკასიის რკინის გზის მმართველობას ხუთი ათას თუმნამდე ზარალი მოსვლია, რადგანაც საქონლის მატარებლები ამ დღეს, მცხეთის დღესასწაულისა გამო, გაჩერებული იყო და თორმეტი საგანგებო მატარებელი-კი მცხეთასა და ტფილისს შუა ცალიერი დადიოდა.

** ტფილისის პირველს კლასიკურს გიმნაზიაშია წლიური აქტი დანიშნული იქნება ამ თთვის ბოლოს. აქტზე ლერმონტოვის რამდენსამე ლექსს იგალობებენ და განსვენებულის პო-

# ფელეტონი

## მეურმე

ამ პირაღმართზე, შაქარავ,
სახრე არ მიმახლებინო,
იგრე აიტა ურემი,
რო არც-კი გამაგებინო.
აჩქარდი, ბინდმა შემოჰკრა,
წიწინებს ნიავ-ქარიო,
მიყუჩდა ყველა სულ-დგმული,
დაყრუვდა მთა და ბარიო.
აგე იმ ლურჯი მთიდამა
ამობადრდება მთვარეო,
გამოგვიჩნდება შორიდამ
ჩვენი მშობელი მხარეო.
ვინ იცის, სახლში დაფქული
დააკლდათ, მიგველიანო,
იცრემლებიან ბალღები:
ბაბასა იძახიანო.
გაუხარდებათ ჩვენებსა,
თუ სძინავთ—ადგებიანო.
მე ქიქლით ღვინოს დამიდგმენ,
შენ თივას დაგიყრიანო,
შენი ჭირიმე, შაქარავ,
ლომას რო მოჰდევ გვერდშია,
მოვალ და ჩაგეკონები,
გოგოვ, მა ბროლის მკერდშია.

დ. მაჩხანელი

## ჰარამ-ხანის სურათი

(ფსიხოლოგიური ეტიუდი)

ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა სოლომონ ბერიკაშვილი უეცრად ლოგინში წამოჯდა აღშფოთებული და ერთს ადგილს დააცქერდა. რამდენსამე ხანს ასე გაშტერებული იჯდა, თითქოს ჯდომელას ჩაეძინაო, შემდეგ საჩქაროდ მოიფშვნიტა თვალები და სთქვა: „სიზმარი ყოფილა“-ო. მერე მძიმედ მიესვენა ბალიშზედ და ხვრინვა ამოუშვა. იმის ტკბილს ხვრინვას ბანს აძლევდა ერთის მხრით კედლის საათის განუწყვეტლივი კაკუნი დ მეორეს მხრით—ღამის ლამპარის შრიალი... მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საამურს „ტრიოს“ ერთს საათზე მეტი ხანი არა ჰქონდა. კედლის საათმა სამჯერ ჩამოაწკარუნა და სწორედ ამ დროს სოლომონიც დაჰრილს მშველსავით წამოვარდა ლოგინიდგან და აჩქარებულად დაიწყო სიარული ნოხით დაფენილს იატაკზედ.

ახა, ღმერთო! ამისთანა საშინელება-ღა იქნება რამე?.. სირბილის დროს აკანკალებულის ხმით ჰყვიროდა და თან ხელებს აფათურებდა. პირში მაფურთხებდნენ!.. მე... მე... იმოდენა ხალხში დამდგომოდნენ და მარცხვენდნენ!.. ნეტავი ხალხი მაინც არა ყოფილიყო და რაც უნდა ექმნათ!

ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა სოლომონი და მეტის აღელვებისაგან იმისი გული ადიოდა და ჩადიოდა და საშინელი ბაგაბუგი გაჰქონდა, რაიცა სუნთქვას უხუთავდა და ლაპარაკს უშლიდა.

— მიყვიროდნენ,—განაგრძო სოლომანმა: რატომ პირობა არ შეასრულეო, შე უსირცხვილოვო, შე უსვინიდისოვო!.. ჰმ, ჰმ!.. იმ მასხარაებმაც მე უნდა მარცხვინონ?!. „პირობა რატომ არ შეასრულეო? ჰმ!“ სოლომონმა მწარედ გაიღიმა: მერე რა პირობა? იმისთანა სულელურის პირობის აღსრულება შესაძლებელია?! განა შეიძლება კაცმა თავის ცხოვრებაში ის აზრები გაატაროს, რომელსაც ბავშობის დროს, ოცნებით გატაცებული მაღლა ფარდებში ფრინვის დროს გაიძახის და რომლის აღსრულებაზე ფიცსა და პირობას სდებს?! ცხოვრების ყოვლად უმეცარნი იმ დროს გავიძახით, ამასა და ამას გავაკეთებთ, ასე და ასე მოვიქცევითო; სიამოვნებით ფიცსა ვსდებდით, მაგრამ იმ აზრების, იმ ფიცის აღსრულება ყოვლად შეუძლებელია. მაშინ ის გატაცება ამისთანა აზრებითა იმისთვის არის ისე ტკბილი, რომ ოცნებაა და არა სინამდვილე, თორემ სინამდვილე რომ იყოს, ისე ტკბილი აღარ იქნება. შესაძლებელია იმ პირობის აღსრულება, რომელიც ძალას გვატანს, რომ ჩვენის მოქმედების ასპარეზად სოფელი გავიხადოთ, აღვადგინოთ დაცემული ხალხი, გავანათლოთ, ამოვუდგეთ იმათ მხარში, იმათთან ერთად ვიტანჯოთ და ამ ტანჯვით და შრომით, როგორც მაშინ, ოცნების დროს, გვეიძახდით, ვისიამოვნოთ? თუ-კი ტანჯვითა და შრომით შესაძლებელია ისიამოვნოს კაცმა, მაშ რაღად გვინდა შევუმოკლოთ იმ ტანჯულთა და მშრომელთ ტანჯვა და შრომა? ეჰ, ბევრი ამისთანა სისულელე წარმოგვითქვამს და გვიყვირნია, მაგრამ იმათი შესრულება ყოვლად შეუძლებელია! ვინც ამას ასრულებს, მე ვიცი, იმისთანა სიკეთეს შეეყრება, რომ მეტი აღარ იქნება. განა აქამდის ვერ დარწმუნდნენ, რომ განათლებული კაცი სოფელში გამოტვინდება, გამოყრუვდება და ვერას გაარიგებს? სულელები, სულელები! სხვასაც არცხვენენ, პირში აფურთხებენ გამოფხიზლებისთვის, ოცნებიდგან გამორკვევისთვის.

სოლომონი ამ მსჯელობის დროს მშვიდდებოდა და აჩქარებულს სიარულს უკლებდა. ბოლოს ისე დამშვიდდა და გულმა ისე ჩვეულებრივ დაუწყო მუშაობა, რომ კაცი ველარც-კი შეატყობდა, თუ ამ რამდენისამე წუთის წინ ისე გაშმაგებული და გაბრაზებული იყო ცუდის სიზრმის გამო. ცოტა ხანს კიდევ ჰსიამოვნებდა ბოლთის ცემით და შემდეგ საწოლთან შეჩერდა. შეჩერებას გულდაღმა გადაწოლაც მოჰყვა. თუმცა დამშვიდდა, მაგრამ ძილი მაინც გაუფრთხა და გულდაღმა გადაწოლილი ათას ნაირს ოცნებასა და ფიქრს მიეცა. სოლომონმა გადაავლო გონების თვალი თავისს წარსულს, თავის სტუდენტობის დროის ცხოვრებას.

ბევრი რამ კარგი მოაგონდა სოლომონს იმ ცხოვრებიდგან და ამ მოგონებამ ძალიან კარგს გუნებაზედ დააყენა. მოაგონდა ის საღამოც, რომელსაც ამხანაგებმა უკანასკნელ ეგზამენის შემდეგ ერთმანეთთან გამოსამშვიდობებლად ნადიმი გამართეს. დასაწყისიცა და დასასრულიც ამ საღამოსი ისე ნათლად წარმოუდგა სო-

ეტის ლექსების შესახებ რამდენსამე წერილსაც წაიკითხავენ.

*** გუშინ პარმენ ჯავროვისაგან მივიღეთ ექვსი მანეთი: სამი მანეთი ავადმყოფ ა. მ. ყაზბეგისთვის გადასაცემად და სამი მანეთიც დ. ყიფიანის საფლავზედ ქვის დასადებ ფონდის სასარგებლოდ.

*** შემდეგის წარმოდგენისათვის ჩვენის ქართველ დრამატიულ საზოგადოების დასი ამზადებს რუსეთის მწერლის ჩეხოვის პიესას „Ивановъ“-ს ქართულად „მსხვერპლი უხასიათობისად“ წოდებულს, რომელიც შარშან ერთხელ უკვე იყო წარმოდგენილი.

*** 1 ოქტომბერს ტფილისის მიხეილის ქსენონში აკურხეს ფიცრულის შენობა, რომელიც ოცდა-ათ სულის ავადმყოფის მოსათავსებლად არის აგებული. კურთხევას დაესწრნენ ტფილისის ქალაქის თავი თ. არგუთინსკი-დოლგორუკი, კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის მმართველი ს. ა. გლავაცკი, სახელმწიფო ქონებათა მმართველი ი. ს. ხატისოვი, მიხეილის ქსენონის უფროსი მკურნალი ბ-ნი გოლბეკი, ამავე ქსენონის ექიმები ᲓᲐ სხვანი. პარაკლისის გადახდის შემდეგ რვა სულით ავადმყოფი იქვე მიიღეს. ფიცრულში სულ 30 საწოლიდგან ოც-და-ხუთი ერობის ხარჯით უნდა ინახებოდეს და ხუთი—ქალაქის ხარჯით.

*** „Новости“ ამბობს, რომ უწ. სინოდს განუზრახავს, შემოიღოს სასულიერო სემინარიებში არხეოლოგიის სწავლებაცაო. ამას გარდა, სინოდს უნდა განკარგულება მოახდინოს, რომ შესრულებულ იქმნას განსაკუთრებული წესები ტაძრებისა, საეკკლესიო ჭურჭლებისა და შესამოსლის განახლების დროს. ყოველისავე ახალის ყიდვა დაუბრკოლებლივ შეეძლება სამღვდელოებას, ხოლო გაყიდვა ძველის ნივთებისა-კი ასე ადვილი აღარ იქნება. ასეთის ნივთების გასყიდვის ნება სასულიერო მთავრობის უდასტუროდ აღარავის არ მიეცემა.

*** გაზ. „Рус. Вѣд.“ ი ამბობს, რომ ფინანსთა სამინისტროს წარუდგინება დასამტკიცებლად ახალის სააქციონერო საზოგადოების წესდების პროექტიო. ამ საზოგადოებას საგნად ექმნება, იზრუნოს აბრეშუმის კეთების გაძლიერებისათვის ამიერ-კავკასიასა და ყირიმშიო.

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამოცანები)

—

ჰო, მოიცა, მომაგონდა ის მო-
ცელქო კალამიცა:
ოჩცხობილას სხარტად სწერდა, ქვე-
მოდ ეპყრა ალამიცა,
„ე ლანძე“ არ შესდგებოდა, თუნდ
ენახა წინ ხრამიცა...
სადღაც უცებ მიეფარა, თუ მოსძებ-
ნა სხვა სკამიცა?!.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ფოთი.** ამ რამდენისამე წლის წინად ფოთი არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვა ქალაქებს, შავის ზღვის პირად მდებარეებს და დღეს-კი ისე დაქვეითებულია, რომ იმისი ახლანდელი გაჭირებული მდგომარეობა ძნელი წარმოსადგენია. ადრე გარეგანად მაინც ჰყვაოდა, ახლა-კი მომაკვდავს მოგაგონებს, რადგანაც ძველმა ნაწარმოებმა ქალაქს თავისი სამსახური გაუწია და ჰპარდება პატრონს, ხოლო ახალის გამკეთებელი-კი არავინ არის. ამის გამო საიდაც გაიხედ-გამოიხედავთ, ყოველგან გულ საკლავს სურათსა ჰხედავთ: უპატრონოდ მიტოვებულს, ჩამტვრეულს შენობებს, ბალახით მოდებულს ეზოებს და სხვ. ასეთის სახლების შემწეობით აი რა ამბავი მოხდა: ფოთის შუაგულ ყოფილა და არის მიყრუებული „ტამოჟნის“ სახლი, რომელიც გადაქცეულა ტურების საბინადროდ უპატრონობისა გამო. ამ დღეებში ამ სახლიდგან საღამოს დროს ტურა გამოვარდა. ამაზე ასტყდა ქალაქში რაღაცა კივილი და „გამუტუას“ ძახილი და ტურას მთელის ფოთის ბიჭები მისდევდნენ მოსაკლავად, მაგრამ ვერ-კი მოჰკლეს.

აქ მოხდა 26 ამ თთვისას სამწუხარო ამბავი. გაჩნდა ცეცხლი ნაშუაღამევის ორს საათზე გოგიშვილისას და ორი მოქალაქის სახლი ისე დაიწვა, რომ არაფერი აღარ დარჩენიათ, რადგანაც მეპატრონენი სახლში არ იყვნენ. ამ ამბავმა დაგვარწმუნა, რომ ფოთი სულ რომ გადაიწვას, თურმე ერთ წვეთ წყალსაც ვერ მიიწვდიან (ფოთი-კი სულ წყლად არის გადაქცეული), რადგანაც აქ არა აქვთ ცეცხლის საქრობი იარაღები. ყველა მხოლოდ თავისს სახლს ჰშველოდა და ჰპატრონობდა. ცეცხლ გაჩენილი, უპატრონობით დამწვარი სახლები დაზღვეული ყოფილა, როგორც ამბობენ.

აქაური ქუჩები, ქვის დაფენის მაგიერად, სულ ტალახით არის გალესილი! აქეთ-იქით პირები გზისა ამოვსებულია ყოველის სიმყრალითა და მუდამ მყრალი სუნი ამოდის, რომელიც სწამლავს ჰაერს და უწუხებს გულს გამვლელ-გამომვლელს. მომეტებულად თვალ-საჩინო ალაგი უჭირავს ამ ქუჩებ შორის, „გურიის“ ქუჩას, სადაც მუდამ ეტლები დგას და ამის გამოც ცხენების ფეინითა, ჩალაბულითა და ხის ფოთლებით არის გავსებული. მაგრამ მისთვის, საუბედუროდ, არც გამგეობას და არც მცხოვრებთ არ მიუქცევიათ ყურადღება. ასეთისავე სიბინძურით მოფენილია ფოთის ნაქები ბაღიც. ღმერთმა დაგიფაროთ იქ სეირნობისაგან. ასეთს სისუფთავეს ქალაქისას ის შედეგი მოსდევს, რომ აქ კაცს მუდამ ფერი აკლია, ხელი და ფეხები სისუსტის გამო უკანკალებს, გული უცემს და სხვ.

ჩვენში არ არსებობს არც ერთი ისეთი დაწესებულება, რომელსაც საგნად ჰქონდეს ქალაქის სარგებლობის მოტანა და ცხოვრების გაუმჯობესობა. აქ ერთად-ერთი ბიბლიოთეკაა და იმასაც აგერ ამოხდება სული, რადგანაც მის გაუმჯობესობას და კარგად წაყვანას არავინ არა ცდილობს, გარდა ბატონის ნოდიასი; იმას სურვილი ჰქონდა, გაემართა წიგნთ-საკითხავიც, მაგრამ არავინ არ თანაუგრძნო, რის გამოც ორი გაზეთი ჰქონდა გამოწერილი და იმასაც თავი გაანება.

ამ დღეებში ფოთელებმა თავი ისახელეს იმითი, რომ აქ ქართულის სცენის მოყვარეებს წარმოდგენა ჰქონდათ გამართული და საკმაოდ დაესწრო ხალხი, რადგანაც შემოსავალი გადადებული იყო სასარგებლოდ ერთის ყმაწვილის კაცისა, რომელიც დიდი ხანია ემსახურებოდა ფოთს. მან დაასრულა დედათა სასწავლებელი. წარმოდგენილი იქმნა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, სამ-მოქმედებიანი კომედია ა. ცაგარლისა. წარმოდგენამ მშვენიერად ჩაიარა, რადგანაც სცენის მოყვარულნი ძლიერ კარგად ასრულებდნენ თავისს „როლებს“.

მ. ჯორბენაძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორც მოგეხსენებათ, გაზ. „მწყემსს“ ჩვეულებად აქვს სატირიულ ლექსების ბეჭდვა. უკანასკნელს მე-18 №-შიაც დაბეჭდილია სატირიული ლექსი ამ გაზეთის სეფე-პოეტისა რაჟდენ საჯახელისა „ძველი მეტოდი“... მერე რა ლექსია, რა პოეზია, რა ხელის-ხელ საგოგმანებელი სიტყვები! სად რუსთაველი და სად „მწყემსის“ სეფე-პოეტი! ამ უკანასკნელთან თვით ბაირონიც-კი ქედს მოიხრის, რადგან საჯახელის ლექსს არც ტოლი ჰყავს და არც სწორი, მარტოდ-მარტოა, ერთი, საგანგებოა, შეუდარებელ-შეუწონებელი! ეს უკვდავი ლექსი იმითი იწყება, რომ აღმზრდელი თავზედ ადგია მოსწავლეს და ეუბნება: ისწავლე, მამას ნუ აძლევ ზიანს:

ოთხ ბათმანს დაფქულს გიგზავნის
ყოველ თვიურად იგია...
მას ვალი ადევს ალგზარდოს,
შენც მოინდომე რიგია (?!).

ხომ გაიგეთ, ყმაწვილმა რიგი უნდა მოინდომოს?.. და იმედია, მოინდომებს კიდეც, რაკი ამ პოეზიით სავსე ლექსებს წაიკითხავს ბ-ნის საჯახელისას. მერე მასწავლებელი ასწავლის:

აი შეხედე ამ ასოს,
მაღლა რომა აქვს პირია,
ეგ „ანი“ არის, იცოდე,
გაჩუმდი, ნუღარ სტირია!

—

ეს „ბანი“ არის, ეს „განი“,
ეს თავ-შეკრული „დონია“,
ერთს მეორიდგან ვერ არჩევ,
ნუ თუ სულ ერთი გგონია?

როგორ მოგწონთ, მკითხველო, ეს „ან-ბანის“ პოეზია? საოცრად ლამაზად ალექსებს პოეტი ასოებს სიტყვებთან. აბა წაიკითხეთ და სიამოვნებით გაიოცეთ:

ან, ბან, გან, დონ,
ენ, ვინ, ზენ, ჱე,
გამზრდელს გული მოუვიდა,
ააყენა უცბათ ფეხზე.

ამას-კი ვეღარა შეედრება-რა! ეს ლექსი ისე გვეოცა, რომ ჩვენ თითონ უცბად ფეხზედ წამოვდექით და ზე შთაგონებით ჩვენვე დავასრულეთ. მოისმინეთ და დასტკბით:

თან, ინ, კან, ლას,
მან, ნარ, ჲიე,
პარნასისკენ იწევ, კალხას,
იწევ და ვერ აიწიე.

—

ონ, პარ და ჟან,
რაე, სან და ეს უნია!..
იყნოსეთ და კარგად ნახეთ,
პოეზიის სდის სუნია.

ფარ, ქან, ღან, ყარ,
შინ, ჩინ, ძილ, წილ...
რა ლექსია, რა სიტყვები!
მუზა „მწყემსთან“ იხდის ქორწილს.

—

ჭარ, ხან, ჴარ, ჯან,
ჰაე, ჵოე,
„მწყემსის“ დიდო პოეტოჯან,
კმარა, მუზა დაითხოვე!..

იმედია, პატივცემული სასულიერო გაზეთი ამ დასასრულს საჯახელის ლექსისას თავისს ფურცლებზედ ადგილს დაუთმობს.

---

ლომონს, თითქოს ლოგინზედ-კი არ არის გადაჭიმული, ამხანაგებს შუაა და იმათთან ერთად მუსაიფობს და მხიარულობსო. აგერ ის პატარა თავის ამხანაგის ოთახი, რომელშიაც ძლივს ეტეოდნენ სტუდენტობიდგან იმ დღეს გამოსულნი ამხანაგები; აი ის სტოლიცა, რომელზედაც ლუდითა და არყით სავსე ბოთლები და ცალიერი ჭიქები ეწყო, რადგანაც ჯერ კიდევ რამდენიმე ამხანაგი არ მოსულიყო და ამათ მისვლას-ღა ელოდნენ, რომ ჭიქები გაევსოთ... აი დანარჩენებიც მოვიდნენ. ეხლა უფრო გამხიარულდა ოთახი; ეხლა უფრო სხვანაირი ფერი დაედო ამხანაგების წრეს, ეხლა ერთმანეთის სადღეგრძელოს სმენ და მხიარულობენ. ბაასი უფრო გაცხოველდა, რომელიც ხანდახან საერთო სიმღერისაგამო შესწყდებოდა ხოლმე. ასე და ამ გვარად წამი წამს მისდევდა, საათი საათს და შუა ღამე ისე გადავიდა, რომ ვერცკი შეიტყეს. ბოლოს ერთი მათგანი წამოდგა, აიღო ხელში სავსე ჭიქა და ლაპარაკი დაიწყო. დანარჩენთ სული განაბეს და სმენად გადიქცნენ.

„ამხანაგებო, ასე დაიწყო ორატორმა: ვინ იცის, ეს უკანასკნელად ვართ ერთად შეყრილნი, უკანასკნელად ვხედავთ ასე შეკრებილს ერთმანეთს! დღეს, ხვალ, ზეგ სათითაოდ გავეშურებით ჩვენის ბუდეებისკენ, ჩვენის ქალაქებისკენ, ჩვენის სამშობლოსკენ, სადაც სიხარულითა და გულის ფანცქალით მიგველიან ჩვენი მშობლები, ჩვენი ძმები და ერი. ვინ წარმოიდგენს იმათს სიხარულსა და აღტაცებას, როდესაც თვალს მოგვკრავენ? განა მარტო ჩვენი ნახვა გაახარებს, განა მართო ჩვენი ხილვა დააკმაყოფილებს? არა, არა და არა! მარტო ჩვენი ხილვა არ კმარა იმათთვის. ისინი უფრო სხვა რასმე მოელიან ჩვენგან, უფრო სხვა დიდს მოვალეობას გვდებენ კისერზედ, რომლის პირ-ნათლად აღსრულებაც ჩვენის მხრივ საჭიროა. აბა ყოველმა ჩვენგანმა მიიხედოს უკან, რას დაინახავს? დაინახავს ერთს უზარ-მაზარს მთას, კავკასიონის მთებზედ უმაღლესს (ამ სიტყვების ხსენებაზედ იმან, სოლომანსა და სხვა იქ მყოფს ორს ქართველს სტუდენტს გადახედა და გაუღიმა), იმ ნივთიერებისაგან შემდგარს, რომელიც ჩვენს გამოზრდაზედ ჩვენმა ტანჯულმა ერმა, ჩვენმა მშობელმა ერმა ცრემლითა და ოფლით შეადუღა. განა ამას შემცირება, ამას სამაგიეროს გარდახდა არ უნდა? განა ეს ამოდენა მთა ვალად უნდა გვედოს კისერზედ? არა, თუ კაცნი ვართ და გვსურს კაცის სახელის ტარება, უნდა ვეცადნეთ, რომ ერთი-ორად მიუწყოთ ჩვენ ტანჯულთ. ვიცი, ყველანი დამეთანხმებით, მაგრამ აი საქმე ის არის, რა გზით, რა საშუალებით, როგორ უნდა ვიშრომოთ ცხოვრებაში, რომ სამაგიერო გადავუხადოთ ჩვენის მოქმედებით, რადგანაც ყოველს მოქმედებას არ მოაქვს სასურველი სარგებლობა. აი ამისთვის მე მსურს, ჩემი აზრი წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ რა უნდა ვაკეთოთ ცხოვრებაში, რომ თვალ-საჩინო სარგებლობა მოვუტანოთ ერს და ამით მოვიშოროთ ის ვალი, რომელიც კისრად გვაწევს“. ამას შემდეგ ორატორმა დაწვრილებით განმარტა მომავალი მათი მოღვაწეობა.

სოლომონი ამ დროს ისე გატვრენილი იყო და გადაწოლილი თავისს ლოგინში, თითქოს იმისი ამხანაგი ეხლა ლაპარაკობდა და არა მაშინ. იქნება მოესმა სოლომონს თავის ამხანაგის სიტყვებიცა: იქნება მოხელეებად ყოფნით, რომელსამე დაწესებულებაში სამსახურით რამე სარგებლობა მოვუტანოთ? არ მგონია, რომელმამე თქვენგანმა სთქვას: „იქნებაო“, რადგანაც კარგად ვიცით, რომ სამსახურში შესვლისათანავე ისეთს თანამდებობას არ მოგვცემენ, რომ ამ თანამდებობის საშუალებით რაიმე კეთილი მოვიქმედოთ. ხომ ასეა: თუ გინდა სამსახური, უეჭველად პირველ საფეხურიდგან უნდა დაიწყო და მერე თანდათან ზემოდ წახვიდე. პირველის საფეხურიდგან სამსახურის დაწყება ჩვენთვის-კი შეუძლებელია... არა, შესაძლებელია. მე იმას არ ვამბობ, ვითომც ვერ შევძლებთ-მეთქი, ან კიდევ არავინ მიგვიღებს. არა, შესაძლებელია, მაგრამ ეს „შესაძლებლობა“ გამოყრუებასა და გამოტვინებას ეთანაბრება, რადგანაც სამსახურში პირველი საფეხური ისეთი ეკლიანია, ისე არიან დატვირთული ამ საფეხურზედ მდგომნი, რომ გამოტვინება აუცილებელი შედეგია. ხომ ასეა: თითქმის მთელის დაწესებულების მეხანიკური ტვირთი პირველ-საფეხურზედ მდგომთ, ეგრეთ წოდებულ „გადამწერელთ“ აწევთ კისერზედ. ეს ტვირთი-კი ისე ჰმოქმედებს კაცის გონებასა და გრძნობაზედ, როგორც ჭლექი ფილტვებზედ. კაცს ისე შეუმჩნევლად, ნელის ნაბიჯით, იმ მდგომარეობამდე მიაღწევინებს, რომელსაც „გამოჩურჩუტება და გამოტვინება“ ეწოდება. საქმეც იმნაირად არის დაყენებული, რომ ვიდრე „გამოჩურჩუტებას, გამოტვინებას“ არ შეგატყობენ, ვიდრე თავიანთებურად არ მოგაწყობენ და მოგმართვენ, წარმატებას არ გღირსებენ და ამასთან დროსაც არ მოგცემენ და აბა ახლა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, გამოფიტული რაღას გააკეთებს? ყველას გეყოლებათ ის საცოდავი „გადამწერლები“ ნანახი. ისეთი გამორეცხილი და გამოშრეტილი, ყოველისავე აზრის გამომეტყველებას მოკლებული თვალები აქვთ, რომ კაცი პირველს შეხედვაზედვე შეატყობს, თუ რა საქაჯავში არიან გამოსუტულები. თუ ამ ნაირი თვალები არ გინახავთ, მაშ ნაშუაღღევის ორიდგან-ოთხ საათამდე დადექით რომლისამე დაწესებულების კერებთან, და ადვილად შეგიძლიანთ, ჰნახოთ... ოჰ, რა თვალებს ჰნახავთ!.. ეხლაც ვხედავ იმ თვალებს; აი, თითქოს ამ ჭირიდგან ამოიცქირება და უაზროდ ეცეცა!.. დაიხუჭე, დაიხუჭე, თქვენი გულგრილად ნახვა არ შემიძლიან...

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის საზოგადოება კვლავ ბულანჟეს თავის მოკვლის შესახებ ლაპარაკობს, თუმცა ერთი ნაწილი მწერლობა დაუზოგავად ჰკიცხავს თავის მკვლელს გენერალს და მისს მოქმედებას, მაგრამ ამ კიცხვამ საზოგადოება სრულად ვერ გადიბარა. ბულანჟემ თავისის რომანულ-ტრაგედიულის სიკვდილით თანაგრძნობა მოიპოვა ჯერ ერთი ქალებისა საერთოდ და მეორეც მოარბილა ისინიც-კი, ვინც ადრევე უმოწყალოდ და შეუბრალებლად ექცეოდნენ და ჰკიცხავდნენ. „თავისს კაბინეტში რომ მოეკლა თავი და არა საყვარელ ქალის საფლავზეო—სთქვა ლოკრუამ ბულანჟეს შესახებ—მაშინ იმისი საქციელი დოვლათ წაგებულისა და ყოველგვარ იმედ გადაწყვეტილის კაცის თავის მოკვლა იქნებოდა, მაგრამ ბულანჟე სულ სხვა ნაირად მოიქცაო. ესეთი მისი რომანული სიკვდილი მით უფრო საკვირველია, რომ გენერალი ბულანჟე 54 წლის კაცი იყო. მართლას ამბობდნენ, რომ ბულანჟეს სიკვდილამდე შერჩა ახალგაზდური გული და ხასიათიაო“. „ბულანჟეს ამ აგვარად თავის მოკვლისა გამო ვეკითხებით ჩვენს თავსაო—სწერს ერთი გაზეთი ზომიერ რესპუბლიკელთა — კარგად გვყოლია გაცნობილი ეს კაცი თუ არა, რომ ვამბობდით, უსირცხო პატივმოყვარეა, სრულის უთაკილობით დამჰერი ორაზროვანის საქმისაო, და ან იქნება სუსტის ხასიათისა და ოცნების პატრონი იყო, არც-კი იცოდა, რა ჰსურდა და რას ეძებდა, და მხოლოდ ხალხი და ცხოვრება ათამაშებდა თავისს ქეიფზე? ასეა თუ ისე, სიკვდილის შემდეგ სულ სხვა ელფერი დაედო ბულანჟეს სახელს: უთაკილო უსირცხვილო კაცი ეგონათ, მაგრამ მოსიყვარულე გული-კი ჰქონია“. ყველაზე უკეთესად გაზეთს „L'Eclair“-შია აწერილი საზოგადოების აზრი ბულანჟეს თავის მოკვლის შესახებ: „დინჯმა პოლიტიკოსებმა, რომელნიც საფლავში მდებარე მტერსაც-კი შეიარაღებულნი უდგანან პირში, იქნება სთქვან, რომ ბულანჟეს თავის მოკვლა პირდაპირი, ლოღიკური შედეგია იმ დრამისა, რაიცა მას ხუთის წლის განმავლობაში აშფოთებდაო. შეიძლება ეს ასეც იყოს. თუ ბულანჟე დიდს თამაშობაში ჩაერია და წააგო, თავისი წაგებული ღირსეულად გადიხადა, წესისამებრ პატიოსანის მოთამაშისა. იმას ბედთან ცუღლუტობა არ უცდია. რომ თავი დაემცირებინა და სხვა-და-სხვა გვარად ცდილიყო, შეიძლება, კიდევ გაეძლო, იქნება სიხარულს რასმესაც მოსწეოდა, მაგრამ ბულანჟემ არ ინდომა და გმირულად მოკვდა თავისისავე დასის სიკვდილის ჟამს, არც გულის დარდი გაუზიარა ვისმე და არც შურის გება ინდომა—თუმცა შეეძლო-კი—მათთვის, ვინც ერთს დროს ტაშს უკრავდა და შემდეგ, უბედურების დროს-კი, შეურაცხჰყოფდა და ამცირებდა. ამ გვარი თავ-გადასავალი ბულანჟესი იძულებულ გვყოფს, რომ ზიზღით არ ვიხსენიებდეთ.

ამავე გრძნობა მოსილმა ტრაგედიულმა სიკვდილმა ბულანჟესამ გავლენა იქონია აქა-იქ პარიჟის მწერლობის მიერ მისის ღირსების დაფასებაზედაც, თუმცა-კი ჯერ ბევრი კოკა წყალი ჩაივლის მანამდე, ვიდრე მიუდგომელი რამ დაიწერებოდეს ამ საგნის თაობაზე. ბულანჟეს მოქმედება დიდს განსაცდელს უქადიდა რესპუბლიკას და ამის გამო სიძულვილი რესპუბლიკის მტრისადმი აგრე ადვილად ვერ დაავიწყდებათ მოწინააღმდეგეთ. ამასთანავე იმის გამოც უფრთხიან და ეთაკილებათ ბულანჟესკენ სიტყვის თქმა, რომ ადვილად შესაძლებელია გაკიცხულ იქმნან ამის გულისთვის. სწორედ ამის გამოა მოუხერხებელი აწინდელ საზოგადოების მიერ კანონიერი დაფასება ბულანჟესი და მისის მოქმედებისა საფრანგეთის საზოგადოებაში— „ბულანჟე ვიგინდარა არ იყოვო-სწერია იმის მოწინააღმდეგეთა გაზეთებში,—რადგან სიყვარული შეეძლო და სხვასაც აყვარებდა თავსაო“. მახლობელი ნაცნობები ბულანჟესი, მაგალითად, ლორუა—დასძენენ, რომ ჩვენ ბულანჟეს სწორედ ასეთ კაცად ვიცნობდით—მახლობელთათვის თავის შეყვარება ერთი მისი უმთავრეს თვისებათგანი იყოვო; მაგრამ ამასთანავე აღიარებენ მისს ხასიათის სისუსტესა და თავის როლის შესასრულებლად ძალის შეუწევნელობასაც. უეცრად კარზე მიმდგარმა ბედმა და სახელმა თავს ბრუ დაასხა, გადარია და გაიძვერათა ხელში ჩაავდოვო. „რომანის გმირობა შეეძლო და იყო კიდეცაო —ამბობენ იგინივე—მაგრამ საპოლიტიკო მოღვაწეობა-კი არ ძალუძდაო. მობანები რომ სხვანაირნი ჰყოლოდა, მისი საქმეც სულ სხვანაირად წავიდოდაო“.

პარიჟის გაზეთები იმასაც იხსენიებენ სხვათა შორის, თუ ბულანჟემ თვის უნებურად რა სამსახური გაუწია რესპუბლიკას. მონარქიელთა გაზეთი „Soleil“-ი გამოტეხით აღიარებს, რომ ბულანჟემ თავისის მოქმედებით ძლიერ წაგვიხდინა საქმეო. „რომ კარგად ჩავუკვირდეთ საქმე, ბულანჟემ დიდი სამსახური გაუწია რესპუბლიკას, რადგან თითონ რომ დამარცხდა 1889 წელს, თან კონსერკატრებიც დაიყოლა და იგინიც ძლეულ ჰყო. რადიკალიზმის მიერ ნაშობმა ბულაჟიზმა 1889 წელს ხასიათი იცვალა და ოპპოზიციის კონსერვატორთა ძალას შეუერთდა, რის გამოც დამარცხება ბულანჟესი, რაიცა უმცვლილებოდ სასარგებლო იქნებოდა მონარქიელთათვის, ეხლა მათთვისაც მავნებელი და დამღუპველი შეიქნა. დაიწყო თუ არა ბრძოლა კონსერვატორთა ოპპოზიციამ ბულანჟესთან ერთად რესპუბლიკელთა დასის წინააღმდეგ, რესპუბლიკის მთავრობამ მაშინვე მოისაზრა, საითაც უნდა მიეტანა თავისი იერიში. თვით იგი, რომელსაც უნდა რესპუბლიკელთა რაზმი გაერღვია, საზღვარ გარედ გაიქცა და რესპუბლიკელთა რაზმის მაგიერ კონსერვატორთა რაზმი დაირღვა. ბულანჟემ იმითიც გაუწია სამშობლოს სამსახურიო,—სწერია გაზეთს „Matin“-ში: რომ სხვასაც ჰკუა ასწავლა და გააფრთხილა, თუ ვინიცობაა მოინდომებს ვინმე მისს წაბაძვასაო. ბულანჟემ, რომელიც იძულებული შეიქმნა სამშობლოდგან გაქცევით ეშველნა თავისთვის, რაიცა მისთვის უკვე ზნეობრივი სიკვდილი იყო, თვისდა უნებურად თავისის მაგალითით გაამაგრა რესპუბლიკა და ყოველს ჯარის-კაცს შეაგნებინა თავის მოვალეობის ღირსეულად აღსრულების საჭიროება“.

იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბულანჟეს ამბავს საფრანგეთის საზოგადო ცხოვრებისათვის, ორგვარი აზრი ტრიალებს. ზოგნი იმას ამბობენ, რომ ბულანჟეს თავის მოკვლას არავითარიმე საპოლიტიკო მნიშვნელობა არა აქვსო, ხოლო სხვანი ამტკიცებენ, ადრე თუ მალე ეს ამბავი თავისს გავლენას იქონიებს, როგორც საფრანგეთის საპოლიტიკო ცხოვრებაზე, ისე სამინისტროზედაცაო. „ვიდრე ბულანჟე ცოცხალი იყოვო, ამბობენ ზოგნი: თუმცა ძლიერ სუსტი, მაგრამ მაინც-კი ჰყავდა თავისი დასი პალატაშიო. მცირე მონარქიელთა და მრავალ რესპუბლიკელთა შუაში რამდენიმე კაცი იდგა, რომელთაც სხვა არა რაიმე არა აერთებდა-რა ერთმანეთს შორის, გარდა ბულანჟეს სახელისა. თავის თავად ეს ხალხი სრულიად სახელმოუხვეჭელი იყო, არც არაფრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ გავლენა-კი ჰქონდა ყოველთვის. საკმარისი იყო, ერთს ვისმე იმათგანს წინადადება რამ შეეტანა, რომ მომეტებული ნაწილი რესპუბლიკელთა სამინისტროს მიმხრობოდა. იქნება ზოგს ახირებულადაც მიაჩნდეს ის აზრი, რომ ბულანჟიზმის დაცემა ასუსტებს სამინისტროს და დღეს უსწრაფებს, მაგრამ მართალი-კია, რადგან ამ გზით ერთ გვარი ღონე აკლდება, რომელსაც სამინისტრო არა ერთხელ ხმარობდა მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის დროს. კითხვა არ უნდა, ერთბაშად არ გამოიცვლიან პალატის დასნი თავიანთს ქცევას, მაგრამ შეიძლება-კი, რომ ბულანჟეს სიკვდილის გამო რადიკალთა და ზომიერ რესპუბლიკელთა შორის უთანხმოება ჩამოვარდეს და ამ გვარად ურთიერთობაც შეიცვალოს, როგორც დასებისა ერთმანეთს შორის, აგრეთვე სამინისტროსადმიც და ეს უკანასკნელი გარემოება ხომ თავისს გავლენას იქონიებს სამინისტროს მდგომარეობაზე.

## სასამართლოს მატიანე

(წერილი ქუთაისიდგან)

ბარამ მდივნისა და მისის მეუღლის სალომეს საქმე.

წარსულს წელს, აგვისტოს 19 და 20, ქუთაისში ხმა გავარდა, რომ სოფ. გეგუთს, რომელიც ქუთაისზე შვიდისა თუ რვა ვერსის მანძილზეა, აზნაურ ბარამ მდივნის სახლში ტყვია ნაკრავი და უსულო იპოვეს ბარამის გერი და სალომეს ღვიძლი შვილი ბაბილინა აბესალომის ასული აბაშიძისა, 24 წლისაო. თანდათან ამ ამბავმა უფრო და უფრო მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, რადგანაც არავინ იცოდა ნამდვილად, თუ რა იყო მიზეზი საბრალო ბაბილინას უდროოდ სიკვდილისა. ზოგი იმას ამბობდა, რომ ბაბილინამ თვითონ მოიკლა თავიო; ზოგი იმას, რომ ეგ ახალგაზდა ქალი ალბად მოჰკლა მამინაცვალმა და დედამაო, და ზოგიც იმას, იქნება ვინმე უცხო კაცმა შეახო ხელი და წუთი-სოფელსაც იმან გამოასალმაო. ასე ამბობდნენ, მაგრამ დაბეჯითებით-კი არა ვიცით-რა. ბაბილინასაგან თავის მოკვლა ძნელად დასაჯერებელი იყო, რადგანაც იმასაც ამბობდნენ, რომ დიდის მზითვის პატრონი იყო და აგვისტოს დამლევს ერთს ახალგაზდა კაცზე ჯვარი უნდა დაეწერაო; არც ისა სჯეროდათ, რომ დედას და მამინაცვალს გამოემეტებინოს ქალი, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ ბარამ მდივანი თავისის ცოლ-შვილით ბაბილინას მამულის შემოსავლით იბრუნებდნენ სულს, რომ თითონ ძალიან მცირე ქონების პატრონი იყვნენ. არც ის იყო საფიქრებელი, რომ ვინმე უცხო კაცს შეეხოს ხელი, რადგანაც, როცა ბარამის სახლში დამბაჩა გავარდა, ბარამის ცოლი სახლში იყო, თითონ ბარამიც, როგორც ამბობდნენ, ან ბაღში უნდა ყოფილიყო და ან სახლში და მეზობლები რომ იმ წამსვე მივიდნენ დამბაჩის ხმაზე, წინ არავინ არ შეფეთებიათ და უცხო ვინმე რომ ყოფილიყო, შეუძლებელია არ შეენიშნათო.

საზოგადოების გრძნობა კიდევ უფრო აშფოთდა, როცა ხმა გავარდა, რომ მთავრობამ შეიპყრო ბარამი და მისი ცოლიო და ამ ორს ადამიანს სწამებს ბაბილინას მოკვლასაო. საზოგადოებას კიდევ უფრო აემღვრა გრძნობა, როცა შეიტყო, რომ ქალს, გარდა იმისა, რომ მუცელში ტყვია ჰქონდა ნაკრავი, მეორე ჭრილობა დედათა ასოში ჰქონდა. მართალია, ხმა გავარდა, რომ ცოლ-ქმარს უნდა მოეკლათ თავიანთი ქალიო, მაგრამ ყველა იმასა ნატრობდა, ნეტავი ეგ ხმა ტყუილი გამოდგებოდეს, რომ ადამიანის ზნეობა და გრძნობა არ იქმნას შებღალულიო. მთავრობაც კვალ-და-კვალ შეუდგა საქმის ძიებას და, ბარამისა და იმის მეუღლისა გარდა მათი მოსამსახურე ივანე ბობოხიძეც შეიპყრო.

მას აქეთ ერთი წელიწადი გავიდა, საზოგადოება დიდის ყურადღებითა და გულის ძგერით ელოდებოდა საქმის გარჩევას: უნდოდა შეეტყო, ბარამი და მისი ცოლი იყვნენ იმ საზარელის კაცისკვლის ჩამდენნი თუ არა, და თუ ისინი იყვნენ, რამ გამოამეტებინა საბრალო ბაბილინა ჯერ მშობელს დედას და მერმე მამინაცვალს, რომლის სახლშიც იზრდებოდა ბაბილინა პატარაობიდგანვე; და თუ გამოიმეტეს, რა იყო იმის მიზეზი, რომ ერთი სასიკვდილო ჭრილობა არ აკმარეს, და მეორეც დაუმატეს, მერმე კიდევ ისეთი, რომლის წარმოდგენაც-კი კაცს შიშსა და ზიზღსა ჰგვრისო.

დიაღ, ამ საქმის დასრულებასა და იმის შეტყობას, ბარამ მდივანი და მისი მეუღლე არიან თუ არა ჩამდენნი ამ საზარელის დანაშაულობისაო, ყველა დიდის მოუთმენლობით ველოდებოდით და აი 30-ს აგვისტოს, იმ დღეს, რა დღისთვისაც დანიშნული იყო ამ ორის ადამიანის საქმის გარჩევა, გრძელი დერეფანი სასამართლოს დარბაზისა თითქმის სულ ერთიანად გაიჭედა ხალხით, რომელიც დიდს ჩოჩქოლსა და ლაპარაკში იყო ამ დანაშაულობისა და ბრალდებულ ცოლ-ქმარის თაობაზე. შუადღისას სასამართლოს დარბაზიც ერთბაშად გაიჭედა ხალხით; პოლიციის მოხელენი და სასამართლოს მოსამსახურენი ვერ იკავებდნენ ხალხს, რომელიც კარებს აწვებოდა. ხალხში მრავალი მანდილოსანიც არის; მოუთმენლად ელოდებიან იმ წამს, როცა ბრალდებულნი უნდა გამოჩნდნენ; აი ისინიც შემოჰყავთ. ბარამ 47—48 წლის კაცია, შუატანისა, მაგარის აგებულობისა; მისი შავი, ცოცხალი თვალები და სახის მეტყველება მოწმობს, რომ გამბედავი და მოხერხებული კაცი უნდა იყოს; ჰაღარა შერეულია, საზოგადოებას თამამად უყურებს, თითქო ვისმეს ეძებსო; გარკვევით და თამამად ლაპარაკობს. მეუღლე მისი სალომე, 40 წლისაა, შავებში არის, მაღალის ტანისაა, ჩინებულის ტანადობისაა, თავზე შავი შალი აქვს წამოსხმული და თვალები ძლივს-ღა უჩანს, სახე მკრთალი აქვს და პირ-ხმელია; ამბობენ და კიდევაც ეტყობა, რომ ოდესმე ლამაზი და ახოვანი ქალი უნდა ყოფილიყო; ესეც გარკვევით ლაპარაკობს და ცდილობს საზოგადოებას არ დაენახოს; ოღონდ ხანდისხან თვალს გადაავლებს, ისიც გაუბედავად; საზოგადოებაც იმას უყურებს და თითქო ცდილობს, სამართალს წინ წაურბინოს და ამ დედაკაცის მკრთალს სახეზე ამოიკითხოს, დანაშაულია, თუ არა დედა, ჩაიდინა თუ ბრა მან ის საზიზღარი, იშვიათი, გრძნობა-გონების ამამღვრეველი დანაშაულობა: საზოგადოება სცდილობს, გულის სიღრმეში ჩაჰხედოს სალომე მდივნისას და, თითქო ჰფიქრობს: ვაი, ადამიანის გრძნობას, ზნეობას, თუ მართლა დედამ მოსწრებული პირმშო ქალი, თავისი ღვიძლი შვილი გაიმეტა, შვილი, რომელმაც სრული 23—24 წელიწადი თავისს დედასთან ერთად გაატარა, ის-შვილი, რომლის ქონება და მამული სულს აბრუნებინებდა ბარამისა და სალომეს ხუთს შვილს! მათ შორის სულ უკანასკნელი ხუთის წლისაა. მესამე ბრალდებული, გლეხი ივანე ბობოხიძე მორჩილის ტანისაა, შავგვრემანი; მეტად მშვიდად იყურება, თითქო აქ არაფერიაო, და არაფრის დარდი არ ჰქონდესო... არც საზოგადოებას აქცევს ყურადღებას და არც სხვა ბრალდებულთ. სახეზე არც შიში ეტყობა, არც მწუხარება და მთელი დღე ისე ზის, რომ ერთხელაც არ შესცვლია ფერი, იერი.

მოსამართლენიც გამოვიდნენ; თავმჯდომარე ბ-ნი ბოგოროდსკი, წევრნი პონომარევი და კრჟიჟანოვსკი; ბრალმდებელი—პროკურორის ამხანაგი—ბოგუცკი. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცნი ვექილნი: ბარამ მდივანს—ბ-ნი მ. ი. ქიქოძე, სალომე მდივანისას—ბ-ნი ვ. ტატიშვილი, სასამართლოსაგან მოწვეული, და ივანე ბობოხიძეს—ბ-ნი პობედაში, სასამართლოსგანვე მოწვეული. წაკითხულ იქმნა ბრალდების ოქმი და აი რა აღმოჩნდა: 18-ს აგვისტოს წასრულის წლისას ბარამ მდივანის სახლში რევოლვერი დაუცლია ვიღასაც; თვით ბარამ მდივანი ამ დროს ბაღში ყოფილა და, რაკი რევოლვერის ხმა შემოსმენია, სახლისაკენ გაქცეულა. აქ ცოლს უთქვამს, ბაბილინამ თავი მოიკლაო და მართლაც სულთ-მობრძავი ბაბილინა ტახტზე დახვედრია. ამას თვით ბრალდებულნი ამბობენ და ზოგიერთი მოწმეც, რომელნიც რევოლვერის გასროლაზე იმავე წამს გაქცეულან სახლისაკენ. ექსპერტიზას გვამზე ორი ჭრილობა აღმოუჩენია: ერთი რევოლვერისა — მუცელში; ტყვიას ღვიძლში გაუვლია და სისხლის მთავარი ძარღვი დაუზიანებია; მეორე ჭრილობა დედათა ასოში. ეს მეორე ჭრილობა რისგან წარმომდგარა, ძნელი სათქმელიაო-მამაკაცის შეხებისაგან, თუ რაიმე მაგარის სხეულისაგანაო. სხვა-და-სხვა მოსაზრების გამო, ექიმი ამბობს, რომ ნება-ყოფლობით შეხება მამაკაცისა ამ შემთხვევაში წარმოუდგენელიაო. ხოლო თუ მამაკაცის შეხება ვიგულისხმეთ, ძალდატანებით უნდა მომხ-

დარიყო და სწორედ ქალის სიკვდილის წინ უნდა ყოფილიყო ჩადენილი. შესაძლოა. ვიფიქროთ, რომ თუ ქალმა თავი თვითონ მოიკლა, რევოლვერი ხელში უნდა ჰქონოდა თავის დასაცავად და თან თავის მოსაკლავად. იქნება ნამუსის ახდა და სირცხვილი ვერ აიტანა და ამიტომ თავი მოიკლაო, მაგრამ უფრო სარწმუნო ის არის, რომ, თუ ვინიცობაა ვინმემ ძალდატანებით ნამუსი აჰხადა განსვენებულს, ამ საქმის ჩამდენმა თვითონვე მოჰკლა ქალი, რათა არ ეთქვა შემდეგ, რომ ამა-და-ამ კაცმა ნამუსი ამხადაო. როცა ხელმეორედ ამოიღეს განსვენებულის გვამი საფლავიდგან და შეამოწმეს, დედათა ასოში არ აღმოჩენილა მამაკაცის თესლის კვალი და ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ის მეორე ჰრილობა კაცისაგან არ არის, არამედ სხვა რამე სხეულისაგან.

მოწმეთა ჩვენებიდგან ისა სჩანს, რომ ნამდვილად არავინ იცის, ვინ მოჰკლა ბაბილინა. ისინი ამბობენ, რომ, როცა ბარამ მდივნის სახლში შევედით, მკვდარი ვნახეთო და შინაურებმა გვითხრეს, რომ ქალმა თავი თითონ მოიკლაო. ზოგს მოწმეს რევოლვერი არ უნახავს. ფელდშერი კუხიანიძე ამბობს, რომ განსვენებულის ხელში რამდენიმე თმა ვნახეო—რამდენიმე—ქალისა და რამდენიმე—მოკლე და მოთეთრო—კაცის წვერისა უნდა ყოფილიყოვო. ასე უჩვენებია კუხიანიძეს გამომძიებლისათვის, ხოლო სასამართლოში თქვა, მართალია თმები-კი ვნახე, მაგრამ არ ვიცი, რამდენი და რანაირი იყოვო. ზოგიერთ მოწმის ნაამბობიდგან სჩანს, რომ ბარამ მდივანი და მისი მეუღლე ცუდად ეპყრობოდნენ თურმე განსვენებულს, სახლიდგან არ გამოჰყავდათ, შესაფერად არ აცმევდნენ და იმის მამულით სარგებლობდნენო. ბარამი მისი „აპეკუნი“ იყო და ქალმა არც-კი იცოდა, რომ კარგი მამული ჰქონდაო. მამამ 15 ათასის მანეთის მამული დაუტოვაო. საქმროები ჰყავდა ბაბილინას, მაგრამ არ გაათხოვესო: სასიძოებს პირ-აქეთ სთხოვდნენ სასყიდელს, ეუბნებოდნენ თურმე, თუ ბაბილინას ქონების ამა-და-ამ წილს დაგვითმობთ, ქალს მოგათხოვებთო და სხვა.

(დასასრული იქნება)

## დ ე პ ე შ ა

3 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გამოაცხადეს უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ მემკვიდრე ცესარევიჩმა თავის მფარველობის ქვეშ მიიღო ტობოლსკის საგუბერნიო მუზეი.

გუშინ ბირჟაზე მცირე კრების დროს ხელის მოწერა გაიმართა დამშეულთა სასარგებლოდ. შეიკრიბა 70,000 მანათი. ხელის მოწერა კვლავ სწარმოებს.

**კიევი.** მიტროპოლიტი კიევისა და გალიციისა პლატონი, 89 წლის მოხუცი, ექვსის დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. გვამი უნდა გაასვენონ სოფიის ტაძარში 3 ოქტომბერს.

**პარიჟი.** „Gaulois“-ის სიტყვით, იტალიის მეფის ნახვის შემდეგ მონცაში, ბ-ნთ გირსა და ვლანგალის დიდ-ხანსა ჰქონდათ თათბირი მარკიზ დე-რუდინისთან, რომელმაც აუწყა ხელშეკრულობა სამთა კავშირისა და დაუმატა, რომ ესპანს მენაბრიოს დავალებული აქვს, რომ აუწყოს ესევე საფრანგეთის მთავრობასაც, რომელიც ამ ყრილობის სამაგიეროდ ესკადრას გაგზავნის პალერმოში მეფის დასახვედრადაო.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ოქტომბერი

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 67 | 7, 70 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 152½ | 153¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 234½ | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 219¾ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — ,, | 211½ | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმად მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.


## განცხადებანი

საცეცხლურისათვის
სუნნელოვანი
**ათონის საკმეველი**
(ახალთ-ახალი)
გირვანქა 1 მ. და 35 კ. ისყიდება
**რ. კელერთან და ამხ.**
მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე,
ისყიდება აგრეთვე ყველგან, საუკეთესო მაღაზიებში (5—0—1)

„წ ერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |

კერძო ექიმი
**პრეობრაჟენსკი**
არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.
ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.
ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პაპოვისა, ვარანცოვის ნომრების პირდაპირ. (10—10)

**II годъ** **изданія** **годъ II**

Открыта подписка на второе полугодіе 1891-го года въ Самаркандѣ
на газету
# „ОКРАИНА“
(ПОЛИТИЧЕСКУЮ, ОБЩЕСТВЕННУЮ и ЛИТЕРАТУРНУЮ),
съ безплатными беллетристическими и научными приложеніями.
**ЕДИНСТВЕННЫЙ ЧАСТНЫЙ ОРГАНЪ**
въ Закаспійской области и Туркестанскомъ краѣ.

Газета выходитъ въ увеличенномъ размѣрѣ—въ 4-е столбца, три раза въ недѣлю—по Понедѣльникамъ, Средамъ и Пятницамъ, применяясь къ днямъ отхода почтъ.

**программа изданія:**

Телеграммы Сѣвернаго Телеграфнаго Агентства и спеціальныхъ корреспондентовъ; передовыя; правительственныя распоряженія и циркуляры; хозяйственно-экономическія статьи; научныя, рецензіи, литература, театръ, музыка. Мѣстныя извѣстія. Статьи по мѣстнымъ вопросамъ. Дневникъ происшествій. Беллетристика. Стихотворенія, легенды, шахматныя игры, анекдоты, загадки, шарады. Практическія свѣдѣнія. Научные совѣты. Повѣсти и разсказы. Торговыя свѣдѣнія и цѣны на мѣстныя производства. Недоставленныя телеграммы. Отходъ и приходъ поѣздовъ и почтъ. Объявленія: частныя и казенныя.

**подписка принимается:**

Въ **Самаркандѣ:** въ конторѣ редакціи.
„ **Ташкентѣ:** въ типографіи Бр. Порцевыхъ.
„ **Москвѣ:** въ конторѣ объявленій, бывш. Метцль.
„ **Петербургѣ:** въ централь агентствѣ объявл. Матисона.
„ **Вѣрномъ:** у П. М. Зенкова.
„ **Нерчинскѣ:** у И. В. Богашева.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ 5 р., на ½ года 3 р. 50 к., на 3 мѣсяца 2 р. 50 к., на 1 мѣсяцъ 1 р., за границу за годъ 8 р. На другіе сроки подписка не принимается.

Цѣна за объявленія: по 15 коп. на послѣдней страницѣ и по 40 коп. на первой, за строку петита или ея мѣсто. При мѣсячныхъ же объявленіяхъ—скидка.

Адресъ редакціи. Самаркандъ.
Отдѣленіе: Ташкентъ, Типографія Бр. Порцевыхъ.

**Разосланы подписчикамъ**
**28** (конецъ II т.) и **29** ВЫПУСКИ
„НАСТОЛЬНАГО ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКАГО СЛОВАРЯ“
**Объясненіе словъ по всѣмъ отраслямъ знанія,**
изданіе Т-ва А. Гарбель и К°.

(Слова отъ Гончаровъ—Гуммель) 20 портретовъ (Гончаровъ, Горнъ, Готшалъ, Градовскій, Графе, Григоровичъ и т. д.) и 5 рис. въ текстѣ. Приложены 2 выполнен. красками географическія карты: „Великобританія“ и „Всѣ части свѣта“, Отдѣльные выпуски 40 и 30 к., смотря по разбору бумаги. Подписка принимается исключительно въ главной конторѣ: Москва, Тверская, Бол. Гнѣздниковскій пер., д. Мартыновой.

**Подписная Цѣна:**

**На все изданіе** съ доставкой и пересылкой. На лучш. бум. 32 руб. На обык. бум. 25 руб. **На 50 выпусковъ** съ пересылкой и достав. На лучш. бум. 17 руб. На обык. бум. 12 руб. 75 коп. **На 10 выпусковъ** съ 25—35. съ дост. и перес. На лучш. бум. 4 р. На обык. бум. 3 руб. (0)


Дозв. ценз. Тифлисъ, 3-го Октября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.